საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეფხვაძე ნინო რევაზის ასული

ვეფხვაძე ნინო რევაზის ასული (დ. 6. XII. 1956, თბილისი), ექიმი–რადიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1999). 1979 დაამთავრა თსსი. 1986–87 იყო თბილ. ენდოკრინოლოგიური დისპანსერის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის გამგე; 1996–2007 – თსსუ-ის პრევენციული მედ. კათედრის გემგე, საზ. ჯანდაცვის კათედრის პროფესორი; 2007-იდან – პრევენციული მედ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2009-იდან სრული პროფესორი. საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად. წევრი (1995); საქართვ. პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (2009). ვ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა – გარემოს რადიაციული ფონის, გარემოში რადიონუკლიდების მიგრაციისა და ონკოლოგიურ სნეულებათა ეპიდემიოლოგიის საკითხები. ვ-ის მიერ თანაავტორებთან ერთად შედგენილია საქართველოს რადიაციული რუკა. ვ. არის სკრანტონის (აშშ, პენსილვანია) უნ-ტის საპატიო პროფესორი (2000); ამერიკის ბიოგრ. ინ-ტის (American Biographical Institute) პროფესიონალ ქალთა მრჩეველთა საბჭოს (Professional Women’s Advisory Board) საპატიო წევრი (2005); თსსუ-ის აკად. საბჭოს წევრი (2006-იდან). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. და სასწავლო-მეთოდოლოგიური ნაშრომი, მ. შ. 1 მონოგრაფია: „კიბოს პრევენცია და ადრეული აღმოჩენა” (2006); სახელმძღვანელოები – „ჰიგიენა” (1998); „პრევენციული მედიცინა” (2009), „ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია” (2013) და სხვ.